სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება № 21

2017 წლის 24 მარტი

ქ. თბილისი

„მეცნიერება იწყება სკოლიდან – კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით“ 2017 წლის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობების და საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ

„სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის – „მეცნიერება იწყება სკოლიდან – კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით“ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 16 ივლისის N140/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო და სასწავლო ღონისძიებების უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მაია ქაჯაიას 2017 წლის 24 მარტის სამსახურებრივი ბარათის (N282483) შესაბამისად

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს „მეცნიერება იწყება სკოლიდან – კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით“ 2017 წლის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსი.
2. დამტკიცდეს „მეცნიერება იწყება სკოლიდან – კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით“ 2017 წლის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის პირობები ამ ბრძანების დანართი N1 -ის შესაბამისად;
3. დამტკიცდეს „მეცნიერება იწყება სკოლიდან – კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით“ 2017 წლის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის საპროექტო წინადადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N2-ის შესაბამისად;
4. დამტკიცდეს „მეცნიერება იწყება სკოლიდან – კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით“ 2017 წლის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის პროექტის რეზიუმეს ფორმა ამ ბრძანების დანართი N3-ის შესაბამისად;
5. დამტკიცდეს „მეცნიერება იწყება სკოლიდან – კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით“ 2017 წლის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის

კრებსითი ინფორმაცია პროექტის შესახებ ამ ბრძანების დანართი N4-ის შესაბამისად;

6. დამტკიცდეს „მეცნიერება იწყება სკოლიდან – კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით“ 2017 წლის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის პროფესიული ავტობიოგრაფიის ფორმა ამ ბრძანების დანართი N5-ის შესაბამისად;
7. დამტკიცდეს „მეცნიერება იწყება სკოლიდან – კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით“ 2017 წლის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკის ფორმა ამ ბრძანების დანართი N6-ის შესაბამისად;
8. დამტკიცდეს „მეცნიერება იწყება სკოლიდან – კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით“ 2017 წლის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის პროექტის ბიუჯეტის ფორმა ამ ბრძანების დანართი N7-ის შესაბამისად;
9. დამტკიცდეს „მეცნიერება იწყება სკოლიდან – კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით“ 2017 წლის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის განცხადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N8-ის შესაბამისად;
10. დაევალოს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე;
11. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
12. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

მანანა მიქაბერიძე

გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

დამტკიცებულია
სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გენერალური დირექტორის
2017 წლის 24 მარტის № 21 ბრძანებით

2017 წლის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის – „მეცნიერება იწყება სკოლიდან – კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით“ პირობები

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. წინამდებარე დებულება აწესრიგებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების – მასწავლებელთა, მოსწავლეთა და მეცნიერთა მიერ ერთობლივი სამეცნიერო კვლევების განსახორციელებლად გრანტის გაცემის, კონკურსის გამართვისა და საგრანტო პროექტების (შემდგომში – პროექტი) განხორციელების მონიტორინგის წესს.

2. სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის – „მეცნიერება იწყება სკოლიდან – კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით“ (შემდგომში – კონკურსი) მიზანია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეთა განათლების ხარისხის ამაღლება, განათლებისა და კვლევების დაახლოება, კვლევების ინტეგრირება სწავლის პროცესში; კვლევების პოპულარიზაციის გზით სკოლის მოსწავლეთა დაინტერესება მეცნიერებით; მოსწავლეთა შორის კვლევითი უნარების გამომუშავების ხელშეწყობა; მასწავლებელთა მოტივაციის ამაღლება მოსწავლეთა კვლევებში ჩასართავად; მეცნიერთა, მათ შორის, ახალგაზრდა მეცნიერთა (მაგისტრანტთა და დოქტორანტთა), ინტერესის გაზრდა სასკოლო პროცესში მონაწილეობისათვის; სასწავლო პროცესში ისეთი სიახლეების დანერგვა, რომლებიც ხელს შეუწყობს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაობის ეფექტიანობის გაზრდას, დაეხმარება მოსწავლეს, გაიაზროს ამა თუ იმ საგნის მნიშვნელობა, რაც გაზრდის მის დაინტერესებას მეცნიერებისადმი.

3. კონკურსში პროექტების შემოტანა შესაძლებელია შემდეგ სამეცნიერო მიმართულებებში:

1 მათემატიკა;
2 ინფორმატიკა;
3 ფიზიკა;
4 ქიმია;
5 სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები;
6 დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები;
7 ეკოლოგია;
8 ინჟინერია და ტექნოლოგიები;
9 აგრარული მეცნიერებანი.

მუხლი 2. კონკურსში მონაწილე სუბიექტები და მონაწილეობის პირობები

1. კონკურსში პროექტის შეტანა შეუძლია საჯარო სკოლას/სკოლებს.

2. პროექტის შემომტანთა შორის საჯარო სკოლასთან ერთად შესაძლებელია იყოს კერძო სკოლაც, რაც შესაძლებლობას აძლევს მას კვლევაში ჩართოს თავისი მოსწავლეები. ამასთანავე, პროექტში მონაწილე კერძო სკოლა ვერ იქნება სასწავლო-კვლევითი გრანტის მიმღები და ვერ მიიღებს მონაწილეობას როგორც გრანტის თანხების, ასევე მის ფარგლებში შეძენილი ქონების განაწილებაში.

3. საჯარო სკოლის მხრიდან პროექტის ხელმძღვანელი უნდა იყოს საჯარო სკოლის VIII – XII კლასებში მომუშავე მოქმედი მასწავლებელი. მას შეუძლია მხოლოდ ერთი პროექტის წარდგენა.

4. პროექტში მონაწილე მეცნიერი უნდა იყოს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ან/და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების აკადემიური/სამეცნიერო პერსონალი, რომელიც კვლევის პროცესში სამეცნიერო კონსულტაციას უწევს პროექტის ხელმძღვანელს, პროექტის ასისტენტსა და მოსწავლეებს;

5. პროექტში უნდა მონაწილეობდეს პროექტის ასისტენტი, რომელიც ეხმარება პროექტის ხელმძღვანელსა და მეცნიერს პროექტის განხორციელებაში. იგი უნდა იყოს დოქტორანტი ან მაგისტრანტი საქართველოს მოქალაქე, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩარიცხულია საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დოქტორანტურის ან მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე და პროექტის შემოტანისას აქვს სტუდენტის აქტიური სტატუსი;

6. პროექტის ხელმძღვანელის, მეცნიერის და პროექტის ასისტენტის ჩართულობა პროექტში აუცილებელი პირობაა.

7.კონკურსის ფარგლებში წარმოდგენილი პროექტები უნდა ითვალისწინებდეს საჯარო სკოლის მოსწავლეთა აქტიური მონაწილეობით კონკრეტული სამეცნიერო საკითხის/პრობლემის კვლევას; კვლევაში ჩართული მოსწავლეები უნდა სწავლობდნენ VIII, IX, X, XI ან/და XII კლასებში.

8. პროექტში დაგეგმილი კვლევის ხანგრძლივობა უნდა იყოს 24 სამუშაო კვირა, რომელიც არ უნდა მოიცავდეს სასკოლო არდადეგებს.

9. პროექტის განხორციელებამ ხელი არ უნდა შეუშალოს სკოლაში მიმდინარე სასწავლო პროცესს.

10. პროექტში უნდა აღინიშნოს კვლევაში მონაწილე მოსწავლეთა სავარაუდო კონტინგენტი და რაოდენობა. პროექტში მონაწილე მოსწავლეთა რაოდენობა არ უნდა იყოს 12 მოსწავლეზე ნაკლები.

11. პროექტისათვის ფონდიდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 12 000 ლარს. შესაძლებელია, პროექტი ითვალისწინებდეს თანადაფინანსებას მონაწილე სუბიექტების ან სხვა იურიდიული პირების მიერ.

12. კვლევის განსახორციელებლად შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სკოლის/სკოლების ან სხვა იურიდიული პირის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

13. პროექტმა ხელი უნდა შეუწყოს გრანტის დასრულების შემდეგ სკოლის ბაზაზე მასწავლებლისა და მოსწავლეთა ერთობლივი კვლევითი ჯგუფის/ჯგუფების მდგრად ფუნქციონირებასა და განვითარებას. პროექტის განხორციელება და კვლევის შედეგი უნდა გახდეს წინაპირობა სკოლის ბაზაზე სამეცნიერო-კვლევითი კლუბების დაარსების ან უკვე არსებული კლუბების გაძლიერების ხელშეწყობისათვის.

მუხლი 3. ძირითადი ფინანსური მოთხოვნები

1. პროექტის ბიუჯეტი შესაძლოა ითვალისწინებდეს როგორც ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის, ასევე არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციის შემდეგ მუხლებს:

ა) პროექტის ხელმძღვანელის, მეცნიერისა და პროექტის ასისტენტის საგრანტო დაფინანსება – რაც გულისხმობს საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, აღნიშნული სუბიექტების

საგრანტო დაფინანსებას, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს პროექტისთვის ფონდიდან მოთხოვნილი თანხის 40%-ს;

ბ) საქონელი და მომსახურება – აღნიშნული მუხლი არ უნდა ითვალისწინებდეს შტატგარეშე მომუშავეთა შრომის ანაზღაურების და მივლინების ხარჯებს;

გ) არაფინანსური აქტივები;

დ) ზედნადები ხარჯი – პროექტის ტექნიკური უზრუნველყოფისათვის საჯარო სკოლისათვის განკუთვნილი თანხა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს პროექტის ბიუჯეტის 7%-ს. პროექტში რამდენიმე საჯარო სკოლის მონაწილეობის შემთხვევაში შესაძლებელია ზედნადები ხარჯის განაწილება წინასწარ, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

2. სასწავლო-კვლევითი გრანტით დაუშვებელია უძრავი ქონების შეძენა, ქირავნობა, იჯარა, კაპიტალური რემონტი/შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქცია, ავტომანქანის შეძენა, მობილური ტელეფონის, პლანშეტური კომპიუტერის შეძენა.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ხარჯვითი კატეგორიები განისაზღვრება ფონდის გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებული კლასიფიკატორით (ამ ბრძანების დანართი №. 9)

4. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული თანხა გადაერიცხებათ პროექტის ხელმძღვანელს, მეცნიერსა და პროექტის ასისტენტს მათ პირად საბანკო ანგარიშებზე, ხოლო ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული თანხა საჯარო სკოლას/სკოლებს, შესაბამის მიზნობრივ ანგარიშზე.

5. პროექტის განხორციელებისათვის საჭირო საჯარო სკოლის ან სხვა იურიდიული/ფიზიკური პირის ბაზის გამოყენება უნდა განხორციელდეს უსასყიდლოდ.

6. პროექტს შეიძლება ჰქონდეს თანადაფინანსება როგორც ფულადი, ასევე არაფინანსური მონაწილეობის (in-kind contribution) სახით საჯარო სკოლის, პროექტის ხელმძღვანელის, მეცნიერის, პროექტის ასისტენტის ან მესამე იურიდიული/ფიზიკური პირის მხრიდან. თანადაფინანსების არსებობის შემთხვევაში პროექტთან ერთად ფონდში წარმოდგენილი უნდა იყოს შესაბამისი წერილობითი დადასტურება თანადაფინანსების ღირებულების მითითებით.

მუხლი 4. კონკურსის ეტაპები

კონკურსის ეტაპებია:

1. კონკურსის გამოცხადება;
2. პროექტების რეგისტრაცია;
3. პროექტების შეფასება საკონკურსო კომისიის მიერ შეფასების პირველ ეტაპზე;
4. მეორე ეტაპზე გადასული პროექტების პრეზენტაცია საკონკურსო კომისიის წინაშე პროექტის ხელმძღვანელების მიერ და საკონკურსო კომისიის მიერ დასაფინანსებელი პროექტების გამოვლენა;
5. საკონკურსო კომისიის მიერ დასაფინანსებლად შერჩეული პროექტების დამტკიცება – გენერალური დირექტორის მიერ;
6. სასწავლო-კვლევითი გრანტის მიმღებებთან საგრანტო ხელშეკრულებების გაფორმება.

მუხლი 5 კონკურსში მონაწილეობისათვის წარსადგენი დოკუმენტაცია

1. ფონდში წარსადგენი საკონკურსო განაცხადის დოკუმენტაცია შედგება ორი ნაწილისგან:

ა) ნაწილი პირველი - პროექტის შინაარსობრივი დოკუმენტები:

1. საპროექტო წინადადება (დანართი 2, PDF ფორმატი);
2. პროექტის რეზიუმე ქართულ და ინგლისურ ენებზე (დანართი 3) (PDF ფორმატი);
3. კრებსითი ინფორმაცია პროექტის შესახებ (დანართი 4) (PDF ფორმატი);
4. პროფესიული ბიოგრაფია (CV) ქართულ ენაზე (დანართი 5) (PDF ფორმატი); ივსება მასწავლებლის, მეცნიერის და პროექტის ასისტენტის მიერ;
5. პროექტის გეგმა-გრაფიკი (დანართი 6) (ივსება Excel ფორმატში);
6. პროექტის ბიუჯეტი (დანართი 7) ივსება Excel ფორმატში);
7. განცხადება ,,2017 წლის სახელმწიფო გრანტების კონკურსი „მეცნიერება იწყება სკოლიდან – კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით" კონკურსში მონაწილეობის შესახებ (დანართი 8).

ბ) ნაწილი მეორე - პროექტზე თანდართული დოკუმენტები:

1. საჯარო სკოლის მასწავლებლის, მეცნიერის და პროექტის ასისტენტის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლები (პირადობის მოწმობა, ან პასპორტი, მოქმედების ვადა არ უნდა იყოს გასული);
2. მეცნიერის დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის-დამადასტურებელი დოკუმენტის ასლები;
3. პროექტის ასისტენტის ცნობა სასწავლო ადგილიდან (სტუდენტის აქტიური სტატუსის მითითებით);
4. ორგანიზაციის (როგორც საჯარო სკოლის, ასევე სხვა იურიდიული პირის), ან ფიზიკური პირის თანხმობის წერილი, სადაც დადასტურებულ იქნება შესაბამისი იურიდიული / ფიზიკური პირის მზადყოფნა, რომ პროექტის ჯგუფისთვის ხელმისაწვდომი გახადოს საკუთარი ინფრასტრუქტურა (ბიბლიოთეკა, ლაბორატორიული, კომპიუტერული ბაზა, საკონფერენციო დარბაზი, და ა.შ.);
5. პროექტის წარმომდგენი საჯარო სკოლის/სკოლების, პროექტის ხელმძღვანელის - მასწავლებლის, პროექტში ჩართული მეცნიერისა და პროექტის ასისტენტის საბანკო რეკვიზიტები;
6. ცნობა პროექტის თანადაფინანსების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესაბამისი თანხისა და დაფინანსების მიზნობრიობის მითითებით, დადასტურებული უფლებამოსილი პირის ხელმოწერითა და შესაბამისი იურიდიული პირის ბეჭდით. კერძო პირის მხრიდან თანადაფინანსების არსებობის შემთხვევაში, საკმარისია, წერილზე შესაბამისი პირის ხელმოწერა და დეტალური საკონტაქტო ინფორმაციის მითითება.

მუხლი 6. კონკუსზე რეგისტრაციის წესი

1. კონკურსში რეგისტრაცია ხორციელდება 2 ეტაპად.
2. კონკურსით მოთხოვნილი საკონკურსო დოკუმენტაცია დასკანირებული PDF ფორმატის სახით უნდა გამოიგზავნოს ელექტრონულად, ფონდის ელექტრონული ფოსტის შემდეგ მისამართზე: **scr@rustaveli.org.ge 2017 წლის 23 მაისის 16:00 სთ-მდე;**
3. განცხადება „მეცნიერება იწყება სკოლიდან – კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით" კონკურსში მონაწილეობის შესახებ" ამობეჭდილი და ხელმოწერილი წარმოდგენილი უნდა იქნას ფონდის კანცელარიაში **2017 წლის 25 მაისის 16:00 სთ-მდე.**
4. ვადის დარღვევის ან/და არასრული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში პროექტი

მოიხსნება კონკურსიდან.

5. ფონდი უფლებამოსილია, კონკურსის ნებისმიერ ეტაპზე კონკურსიდან მოხსნას პროექტები, რომლებიც არ შეესაბამება კონკურსის მიზნებისათვის დადგენილ მოთხოვნებს ან შეიცავს ყალბ ინფორმაციას.
6. ფონდი არ ანაზღაურებს პროექტის მომზადებისა და წარდგენისათვის გაწეულ ხარჯებს.
7. პროექტი არ განიხილება, თუ საკონკურსო დოკუმენტაციის სრული პაკეტი არ იქნება წარმოდგენილი ვადების დაცვით ელ. ფოსტაზე, ხოლო ხელმოწერით დადასტურებული განცხადება - ფონდის კანცელარიაში.
8. კონკურსის საბოლოო შედეგები ფონდის ვებგვერდზე გამოცხადდება **2017 წლის ივნისის ბოლოს.**

მუხლი 7. კონკურსის ადმინისტრირების განრიგი

1. კონკურსის გამოცხადება **2017 წლის 24 მარტი;**
2. ჯგუფური კონსულტაციები ფონდის საკონფერენციო დარბაზში:
   - **2017 წლის** 5 **აპრილი**, 16:00 სთ;
   - **2017 წლის 19 აპრილი,** 16:00 სთ;
   - **2017 წლის 26 აპრილი,** 16:00 სთ;
3. ელექტრონული ფოსტით შეკითხვების გამოგზავნის ბოლო ვადა 2017 წლის 5 მაისი.
4. ელექტრონულ ფოსტაზე საკონკურსო დოკუმენტაციის გამოგზავნის ბოლო ვადა - **2017 წლის 23 მაისი 16:00 სთ;**
5. ფონდის კანცელარიაში კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების წარმოდგენის ბოლო ვადა **2017 წლის 25 მაისი 16:00 სთ;**
6. კონკურსის პირველ ეტაპზე გადასული პროექტების ვებგვერდზე განთავსება **2017 წლის 15 ივნისამდე;**
7. მეორე ეტაპზე გადასული პროექტების საკონკურსო კომისიასთან პრეზენტაციები ფონდში **2017 წლის 15-26 ივნისის** პერიოდში;
8. კონკურსის შედეგების გამოცხადება და საგრანტო ხელშეკრულებების გაფორმება **2017 წლის ივნისის ბოლომდე.**

მუხლი 8. პროექტების შეფასება

1. პროექტების შეფასება ხორციელდება ორ ეტაპად.
2. შეფასების პირველ ეტაპზე საკონკურსო კომისია პროექტებს აფასებს კონკურსის მარეგულირებელი დებულების (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №140/ნ) მე-13 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით დადგენილი შეფასების კრიტერიუმებზე დაყრდნობით. მეორე ეტაპზე გადასვლისათვის აუცილებელი პირობაა პროექტის შეფასების პირველ ეტაპზე 25 მაქსიმალური ქულიდან 17 ან მეტი ქულის მიღება.
3. შეფასების მეორე ეტაპზე გადასული პროექტების ხელმძღვანელები გააკეთებენ პრეზენტაციას საკონკურსო კომისიის წინაშე. საკონკურსო კომისია პრეზენტაციას აფასებს კონკურსის მარეგულირებელი დებულების (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №140/ნ) მე-13 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილი კრიტერიუმებით. პროექტის დაფინანსებისათვის აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა შეფასების მეორე ეტაპზე პროექტმა მიიღოს 6 და მეტი ქულა.

4. პროექტის საბოლოო ქულა დაიანგარიშება პირველ და მეორე ეტაპებზე მიღებული ქულების დაჯამებით.
5. გენერალური დირექტორი ამტკიცებს საკონკურსო კომისიის მიერ გამოვლენილ გამარჯვებულ პროექტებს.
6. ერთნაირი საბოლოო ქულის დაგროვების შემთხვევაში, დაფინანსდება ის პროექტი, რომელსაც ნაკლები თანხა აქვს ფონდიდან მოთხოვნილი.

მუხლი 9. საგრანტო ხელშეკრულება

დასაფინანსებლად შერჩეული პროექტების გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცების შემდეგ ფონდი უზრუნველყოფს საგრანტო ხელშეკრულებების გაფორმებას სასწავლო-კვლევითი გრანტის მიმღებებთან.

მუხლი 10. ანგარიშგება და მონიტორინგი

1. ფონდი ახორციელებს დაფინანსებული პროექტების მონიტორინგს, რაც ითვალისწინებს პროექტის შესრულების ფინანსურ და პროგრამულ კონტროლს.
2. დაფინანსებული პროექტის ხელმძღვანელი ვალდებულია ფონდს ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში წარუდგინოს პროექტის ანგარიში, რომელიც შეიცავს პროექტის შესრულების პროგრამულ და ფინანსურ ანგარიშს და რომლის ფორმებს განსაზღვრავს ფონდი.
3. ფინანსური მონიტორინგი გულისხმობს საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში ფონდის მიერ გადარიცხული თანხის ხარჯვის შესაბამისობის დადგენას ამავე საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ბიუჯეტთან.
4. პროგრამული მონიტორინგი გულისხმობს საგრანტო ხელშეკრულებით დადგენილი ამოცანების შესრულების დამადასტურებელი ანგარიშის შემოწმებას.
5. ფონდის მიერ მონიტორინგის განხორციელებისას:
   ა) მიზნობრივ ხარჯად ჩაითვლება პროექტის ბიუჯეტის ძირითადი ხარჯვითი კატეგორიის ფარგლებში განხორციელებული ხარჯი, თუ იგი მიეკუთვნება ამ ხარჯვით კატეგორიას;
   ბ) არამიზნობრივ ხარჯად ჩაითვლება პროექტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი ხარჯი. აღნიშნული ხარჯი ექვემდებარება მიზნობრივ ანგარიშზე დაბრუნებას;
   გ) ნაშთად ჩაითვლება პროექტის დასრულებისას არსებული გაუხარჯავი რესურსი, რომელიც ექვემდებარება სახელმწიფო ხაზინის შესაბამის ანგარიშზე დაბრუნებას.

მუხლი 11. პროექტის შეჩერება, შეწყვეტა და დასრულება

1. პროექტი ჩაითვლება ავტომატურად შეჩერებულად ფონდის წესდებისა და საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
2. ფონდი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, შეწყვეტს სასწავლო-კვლევითი გრანტის მიმღების სასწავლო-კვლევითი გრანტით დაფინანსებას (შესაბამისად, შეწყდება პროექტი), თუ:
   ა) მოხდა შესაბამისი სასწავლო-კვლევითი გრანტის მიმღები დაწესებულების ლიკვიდაცია ან გაუქმდა მისი ავტორიზაცია;
   ბ) სასწავლო-კვლევითი გრანტის მიმღებმა არ შეასრულა საგრანტო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები ან/და ანგარიშში წარადგინა ყალბი ინფორმაცია.

3. გრანტის შეჩერების ან შეწყვეტის შემთხვევაში, სასწავლო-კვლევითი გრანტის მიმღებსა და ფონდს შორის ურთიერთობები რეგულირდება საგრანტო ხელშეკრულებაში გაწერილი პირობების შესაბამისად.
4. პროექტი ჩაითვლება დასრულებულად, თუ საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მხარეებს შორის გაფორმებულია შედარების აქტი (მხარეებს შორის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულების შესახებ) და პროექტი არ არის შეჩერებული ან შეწყვეტილი.

საპროექტო წინადადება

პროექტის დასახელება:

სამეცნიერო კვლევის მიმართულება:

პროექტის ხანგრძლივობა (თვეები):

1. კვლევის სიახლე, მიზანი და ამოცანები

1.1 პროექტის აქტუალურობისა და უნიკალურობის დასაბუთება

(პროექტის აქტუალურობა და უნიკალობა; მიზნები; პრობლემის დასმისა და მათი გადაჭრის გზები; პრინციპი, რომლის მიხედვითაც შეირჩა პროექტში მონაწილე მოსწავლე-მკვლევარები/პროექტის შემსრულებელთა გუნდი მოსწავლეების პროექტში ჩართულობის აღწერა; წარსული გამოცდილების მიმოხილვა)

1.2 კვლევის ობიექტი და ამოცანები

(აღწერეთ: კვლევის ობიექტი; კვლევის სტრატეგია; პროექტის განხორციელების ეტაპები და შესასრულებელი ამოცანები)

ამოცანების შესრულების მოკლე გეგმა-გრაფიკი

ამოცანები/თვეები	1	2	3	4	5	6
ამოცანა #1						
ამოცანა #2						
ამოცანა #3						
ამოცანა #4						

საჭიროების შემთხვევაში დაამატეთ სტრიქონები.

დეტალურად გეგმა - გრაფიკი შესაბამისი ამოცანებისა და ჩაშლილი აქტივობების მითითებით შეავსეთ დანართ 6-ში ექსელის ფაილში. აღნიშნული გეგმა-გრაფიკი თანხვედრაში უნდა იყოს ზემოაღნიშნულ მოკლე ვერსიასთან.

2 კვლევის მეთოდოლოგია და მოსალოდნელი შედეგები

2.1 კვლევის მეთოდოლოგიის აღწერა და შესაბამისობა პროექტის ამოცანებთან

(აღწერეთ: პროექტში დაგეგმილი ამოცანების გადასაჭრელად საჭირო მეთოდები და საშუალებები/გზები, პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები, მათ შორის საველე გასვლები, სამუშაო შეხვედრები, პრეზენტაცია და სხვ.)

2.2 კვლევის მოსალოდნელი შედეგები

(აღწერეთ პროექტის სამომავლო განვითარების გეგმა და პროექტის მდგრადობა მისი დასრულების შემდეგ).

პროექტის საანგარიშო პერიოდებში ჩატარებული სამუშაოს მოსალოდნელი შედეგები და ინდიკატორები ეტაპების მიხედვით

მოსალოდნელი შედეგები		პერიოდი (თვე)	შესაბამისი ინდიკატორი
1			
2			
3			
4			
5			
6			

საჭიროების შემთხვევაში დაამატეთ სტრიქონები.

წარმოდგენილი ინფორმაცია უნდა შეესაბამებოდეს დანართი 6-ის გეგმა-გრაფიკში მოცემულ მონაცემებს.

დანართი 3
დამტკიცებულია
სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გენერალური დირექტორის
2017 წლის 24 მარტის №21 ბრძანებით

პროექტის რეზიუმე ქართულ ენაზე

(არა უმეტეს 200 სიტყვისა)

Project summary

(No more than 200 words)

კრებსითი ინფორმაცია პროექტის შესახებ

1	**პროექტის სახელწოდება** (ქართულად, ინგლისურად):	
2	**სამეცნიერო მიმართულება:** (აღნიშნეთ ხაზის გასმით):	1 მათემატიკა; 2 ინფორმატიკა; 3 ფიზიკა; 4 ქიმია; 5 სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები; 6 დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები; 7 ეკოლოგია; 8 ინჟინერია და ტექნოლოგიები; 9 აგრარული მეცნიერებანი.
3	**ზოგადზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო დაწესებულება (საჯარო/კერძო სკოლა)** საჭიროების შემთხვევაში, დაამატეთ გრაფები დამატებითი სკოლების ინფორმაციის შესატანად.	
3.1	**სკოლა #1 (სავალდებულო შესავსები)** • ორგანიზაციის დასახელება: • სტატუსი (სსიპ, სხვ.): • საიდენტიფიკაციო კოდი: • ორგანიზაციის მისამართი: • ორგანიზაციის ტელეფონი, ელ.ფოსტა, ვებ გვერდი (ასეთის არსებობის შემთხვევაში): • უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი:	
3.2	**სკოლა #2 (ასეთის არსებობის შემთხვევაში)** • ორგანიზაციის დასახელება: • სტატუსი (სსიპ, სხვ.): • საიდენტიფიკაციო კოდი: • ორგანიზაციის მისამართი: • ორგანიზაციის ტელეფონი, ელ.ფოსტა, ვებ გვერდი (ასეთის არსებობის შემთხვევაში): • უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი:	
3.3	**სკოლა #3 (ასეთის არსებობის შემთხვევაში)** • ორგანიზაციის დასახელება: • სტატუსი (სსიპ, სხვ.): • საიდენტიფიკაციო კოდი: • ორგანიზაციის მისამართი: • ორგანიზაციის ტელეფონი, ელ.ფოსტა, ვებ გვერდი (ასეთის არსებობის შემთხვევაში):	

	• უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი	
4	**საჯარო სკოლის მასწავლებელი** - სახელი, გვარი - პირადი ნომერი - დაბადების თარიღი - აკადემიური ხარისხი, (ასეთის არსებობის შემთხვევაში) - თანამდებობა - სამუშაო ადგილი - ტელ. - ელ. ფოსტა	
5	**მეცნიერი** - სახელი, გვარი - პირადი ნომერი - დაბადების თარიღი - აკადემიური ხარისხი - თანამდებობა - სამუშაო ადგილი - ტელ. - ელ. ფოსტა	
6	**ასისტენტი** - სახელი, გვარი - პირადი ნომერი - დაბადების თარიღი - აკადემიური ხარისხი - სწავლის ადგილი (ორგანიზაცია, ფაკულტეტი, პროგრამა, კურსი) - ტელ. - ელ. ფოსტა	
7	**კვლევის განხორციელებისთვის საჭირო საბაზო ორგანიზაცია (თუ განსხვავდება პროექტის წარმომდგენი ორგანიზაციისგან)** • ორგანიზაციის სახელი: • პასუხისმგებელი პირი: (სახელი, გვარი, პოზიცია, ტელ. ელ. ფოსტა)	
8	**თანადამფინანსებელი ორგანიზაცია, ან ფიზიკური პირი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)** • ორგანიზაციის სახელი:	

	• პასუხისმგებელი პირი: (სახელი, გვარი, პოზიცია, ტელ. ელ. ფოსტა)	
9	**პროექტის ხანგრძლივობა (თვეების რაოდენობა):** • პროექტის დაწყება (რიცხვი/თვე/წელი): • პროექტის დასრულება (რიცხვი/თვე/წელი):	
10	**პროექტის მთლიანი ბიუჯეტი (ლარში):**	
11	**ფონდიდან მოთხოვნილი თანხა (ლარში):**	
12	**თანადაფინანსების თანხა (ლარში, ასეთის არსებობის შემთხვევაში)**	

13. პროექტში მონაწილე მოსწავლეები (სავარაუდო შემადგენლობა)

ივსება თითოეულ მოსწავლეზე ინდივიდუალურად

1 - სახელი, გვარი	
პირადი ნომერი	
დაბადების თარიღი	
სკოლა	
კლასი	
2 - სახელი, გვარი	
პირადი ნომერი	
დაბადების თარიღი	
სკოლა	
კლასი	
3 - სახელი, გვარი	
პირადი ნომერი	
დაბადების თარიღი	
სკოლა	
კლასი	
4 - სახელი, გვარი	
პირადი ნომერი	
დაბადების თარიღი	
სკოლა	
კლასი	
5 - სახელი, გვარი	
პირადი ნომერი	
დაბადების თარიღი	
სკოლა	
კლასი	
6 - სახელი, გვარი	
პირადი ნომერი	
დაბადების თარიღი	
სკოლა	
კლასი	

7 - სახელი, გვარი	
პირადი ნომერი	
დაბადების თარიღი	
სკოლა	
კლასი	
8 - სახელი, გვარი	
პირადი ნომერი	
დაბადების თარიღი	
სკოლა	
კლასი	
9 - სახელი, გვარი	
პირადი ნომერი	
დაბადების თარიღი	
სკოლა	
კლასი	
10 - სახელი, გვარი	
პირადი ნომერი	
დაბადების თარიღი	
სკოლა	
კლასი	
11 - სახელი, გვარი	
პირადი ნომერი	
დაბადების თარიღი	
სკოლა	
კლასი	
12 - სახელი, გვარი	
პირადი ნომერი	
დაბადების თარიღი	
სკოლა	
კლასი	

დანართი 5
დამტკიცებულია
სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გენერალური დირექტორის
2017 წლის 24 მარტის №21 ბრძანებით

Curriculum Vitae

პროფესიული ავტობიოგრაფია

	სახელი, გვარი	პირადობის ნომერი
ტელეფონი Telephone		
ე-ფოსტა		დაბადების თარიღი (დ/თ/წ)
ვებგვერდი		

პოზიცია/მოვალეობა პროექტში - Position/responsibility in the project

1. განათლება

№	წლები	უმაღლესი სასწავლებლის დასახელება	აკადემიური ხარისხი	სპეციალობა
1				
2				
3				
4				
5				

2. სამუშაო გამოცდილება

№	წლები	თანამდებობა	დეპარტამენტი/განყოფილება	ორგანიზაცია
1				
2				
3				
4				
5				

3. სამეცნიერო საგრანტო პროექტებში მონაწილეობა

№	წლები	როლი პროექტში	პროექტის დასახელება	დამფინანსებელი
1				
2				
3				
4				
5				

4. კვლევითი პროექტის თემატიკის შესაბამისი პუბლიკაციების ჩამონათვალი (მაქსიმუმ 5)
ფორმატი: ავტორები, პუბლიკაციის სათაური, ჟურნალის სახელი, ტომი, ნომერი (წელი):გვერდები ან წიგნის/მონოგრაფიის სათაური, რედაქცია, გამომცემლობა, ქალაქი, წელი

1.
2.
3.
4.
5.

5. საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებში მონაწილეობა

№	წელი	ღონისძიების დასახელება	ადგილი	მოხსენების სათაური
1				
2				
3				
4				
5				

6. გამოგონებების, პატენტების ჩამონათვალი

№	თარიღი	გამოგონების სახელწოდება	მიმნიჭებელი ორგანიზაცია, ქვეყანა
1			
2			
3			
4			
5			

7. ენები

მშობლიური ენა .....

№	უცხო ენები	საშუალოდ (A1,A2)	კარგად (B1,B2)	თავისუფლად (C1,C2)
1				
2				
3				

8. პროფესიული მიღწევები

№	წლები	მიღწევა
1		
2		
3		
4		
5		

პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი

გთხოვთ, გრაფიკულად გამოსახოთ პროექტის განხორციელების გეგმა თქვენი პროექტის ამოცანებიდან გამომდინარე (ქვემოთ მოცემულია მხოლოდ ნიმუში, პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე ჩაუმატეთ ან ამოიღეთ შესაბამისი პუნქტები. სავალდებულოა მხოლოდ ფონდში ანგარიშების წარდგენის პერიოდულობის დაცვა)

№	საქმიანობა	1 თვე				2 თვე				3 თვე			
		I კვირა	II კვირა	III კვირა	IV კვირა	I კვირა	II კვირა	III კვირა	IV კვირა	I კვირა	II კვირა	III კვირა	IV კვირა
1	საკვლევი მასალების მომზადება												
2	კაპიტალური და სხვა შენაძენების განხორციელება												
3	კვლევის განხორციელება (თეორიული მასალის დამუშავება)												
4	კვლევის პრაქტიკული ნაწილის განხორციელება: საველე გასვლა, ექსპედიცია და სხვ.												
5	კვლევის შედეგების / მონაცემების დამუშავება												
6	სადემონსტრაციო დღის ჩატარება												
7	ანგარიშის წარდგენა ფონდში												

№	საქმიანობა	4 თვე				5 თვე				6 თვე			
		I კვირა	II კვირა	III კვირა	IV კვირა	I კვირა	II კვირა	III კვირა	IV კვირა	I კვირა	II კვირა	III კვირა	IV კვირა
1	საკვლევი მასალების მომზადება												
2	კაპიტალური და სხვა შენაძენების განხორციელება												
3	კვლევის განხორციელება (თეორიული მასალის დამუშავება)												
4	კვლევის პრაქტიკული ნაწილის განხორციელება: საველე გასვლა, ექსპედიცია და სხვ.												
5	კვლევის შედეგების / მონაცემების დამუშავება												
6	სადემონსტრაციო დღის ჩატარება												
7	ანგარიშის წარდგენა ფონდში												

დანართი 7
დამტკიცებულია
სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გენერალური დირექტორის
2017 წლის 24 მარტის №21 ბრძანებით

პროექტის სახელწოდება:

პროექტის ხელმძღვანელის/მასწავლებლის სახელი, გვარი:

საჯარო სკოლა:

პროექტის ბიუჯეტი

№	ხარჯვის კატეგორია	ფონდიდან მოთხოვნილი თანხა, ლარი	თანადაფინანსება ლარი	სრული ბიუჯეტი ლარი
1	**მეცნიერ ხელმძღვანელის და თანახელმძღვანელის საგრანტო დაფინანსება**	**0.00**	**0.00**	**0.00**
1.1	მ.შ. მეცნიერ ხელმძღვანელი			0.00
	სახელი გვარი			
1.2	მ.შ. თანახელმძღვანელი			0.00
	სახელი გვარი			
1.3	ასისტენტი			0.00
	სახელი გვარი			
2	**საქონელი და მომსახურება**	**0.00**	**0.00**	**0.00**
2.1				0.00
2.2				
2.3				
2.4				
2.5				
3	**არაფინანსური აქტივები**	**0.00**	**0.00**	**0.00**
3.1				0.00
3.2				
3.3				
3.4				
3.5				
4	**ზედნადები ხარჯები**	**0.00**	**0.00**	**0.00**
4.1				0.00
4.2				
4.3				
4.4				
4.5				
	ჯამი	**0.00**	**0.00**	**0.00**

შენიშვნები:

ფონდიდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 12 000 ლარს.

მასწავლებლის, მეცნიერის და ასისტენტის საგრანტო დაფინანსება – რაც გულისხმობს საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, აღნიშნული სუბიექტების საგრანტო დაფინანსებას, არ უნდა აღემატებოდეს, პროექტის მთლიანი ბიუჯეტის 40%-ს.

ზედნადები ხარჯი - ფონდიდან მოთხოვნილი პროექტის ტექნიკური უზრუნველყოფისათვის საჯარო სკოლისათვის განკუთვნილი თანხა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს, პროექტისთვის ფონდიდან მოთხოვნილი თანხის 7%-ს.

სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდს

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

2017 წლის სახელმწიფო საგრანტო კონკურსში „მეცნიერება იწყება სკოლიდან – კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით“ მონაწილეობის შესახებ

წარმოგიდგენთ რა ინფორმაციას საკონკურსო პროექტის შესახებ, ვადასტურებთ, რომ გავეცანი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 16 ივლისის N140/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის - კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით“ დებულებას, აგრეთვე „სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის - კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით“ სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2017 წლის 24 მარტის N21 ბრძანებას და ხელმოწერით ვაცხადებ თანხმობას კონკურსის პირობებზე. ასევე ვადასტურებ, რომ ჩემ მიერ ფონდში წარმოდგენილი ინფორმაცია ზუსტია და არ შეიცავს ყალბ მონაცემებს.

წინამდებარე პროექტის წარმომდგენები ვაცხადებთ თანხმობას მონაწილეობა მივიღოთ საგრანტო კონკურსში ზემოთხსენებული დოკუმენტებით დადგენილი წესებისა და პირობების დაცვით. ამასთანავე, ვაცნობიერებთ, რომ კონკურსის მიზნებისათვის დადგენილი მოთხოვნების შეუსაბამო, არასრული ან ყალბი ინფორმაციის მიწოდების შემთხვევაში პროექტი მოიხსნება კონკურსიდან.

გთხოვთ, დაარეგისტრიროთ პროექტი სახელმწიფო გრანტების კონკურსში ,,მეცნიერება იწყება სკოლიდან კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით“.

პროექტის სახელწოდება
(ქართულად)

პროექტის სახელწოდება
(ინგლისურად)

პროექტის ბიუჯეტი:

ფონდიდან მოთხოვნილი თანხა (ლარი)	თანადაფინანსება (ლარი)	საერთო ბიუჯეტი (ლარი)

პროექტის ხანგრძლივობა / პერიოდი

პროექტის დაწყების თარიღი	პროექტის დასრულების თარიღი

პროექტის წარმომდგენები	**სახელი, გვარი**	**პირადი ნომერი**	**ხელმოწერა**
პროექტის ხელმძღვანელი/ მასწავლებელი			
მეცნიერი			
პროექტის ასისტენტი			

მომდევნო გრაფა ივსება პროექტში მონაწილე საჯარო სკოლის/სკოლების უფლებამოსილი პირის მიერ

(რამდენიმე დაწესებულების მონაწილეობის შემთხვევაში დაამატეთ შესაბამისი ცხრილები)

ორგანიზაციის სახელწოდება	ორგანიზაციის იურიდიული სტატუსი	საიდენტიფიკაციო კოდი	უფლებამოსილი პირის სახელი გვარი	უფლებამოსილი პირის ხელმოწერა და დაწესებულების ბეჭედი

თარიღი _____

დღე/თვე/წელი